



ATIPfund
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030883611105315

№ 07-164/ო

29 / სექტემბერი / 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბალანსზე რიცხული, სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „სენაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის“ სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-4 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 19 აგვისტოს №01/3065 წერილისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 25 სექტემბრის №01/72549 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბალანსზე რიცხული, სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „სენაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის“ სარგებლობაში არსებული ამ

ბრძანების დანართ №1-ში მითითებული მოძრავი ქონება სარგებლობაში გადაეცეს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების საჭიროებისათვის.

2. ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „სენაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **თეა ადამიამ** უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტზე სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მხრიდან ხელის მოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „სენაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელს **თეა ადამიას**.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილეს **ბელა გოგუას**.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დირექტორი

თამილა ბარკალაია

